

პირა, 23 პრილი 1917 წ.

რედაქციის აღმაშენებელი:
თფილისი, ლულას ქუჩა, № 6.

— ვასე 15 კ. —

კურა

კურა 17

1917

შოთა რეზნია. კომისარია ე. შმაკი. სიზმარ-ცხადი—
ხუკუკა. ეიონაუიარია—კაჭი. უდიდეს საიდუმლოს ფარ-
და ესდება—მორიელი. შარადა—კოლო. გავლენა რევოლუ-
ციისა—ს. მართ ბელი. ბრძნული სიტყვები—ნიკოლოზ
შეორენ. პროტოპოლოვის დღიური—დ. ჩ. ხა. სამაისო—

გოგია. ბატარა ფელეტონი—წაფელა. მხდალთავის—გ.
ჰიუგი. ბათუმი—ინდინჯი.

კარიბათ ური გი. ნადირი საიქიოს, რახაც დასთეს,
იმასვე მოიმეი. ლრ გზა.

ორი თავისუფალი აღგილი საიდიოს ნადირე (1905 წლის ეურნალიდან)



ერთი მათვანი. დავიწყოთ ბატონებო, დრო არის..
თავმჯდომარე. ცოტა მოითმინეთ, ჯერ დრო აზ არის, ჩვენ ველით ორ
ვართვემულ სტუმარს...

პროცესუატი

მეტი დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. მთელი საქართველო ახალ წესზე მოეწყო და „ეშმაკის გათრახი“-ს რედაქცია ხომ გამონაკლისს ვერ შე-შეადგენდა.

მაღლობა განვებას, კრებისათვის ნებართვა აღარ არის საჭირო, გინდა შეიკრიბები, გინდა დაიშლები, გინდა არც შეიკრიბები და არც დაიშლები.

ჩვენი რედაქციის სახოგადო კრება 13 აპრილს მოხდა და ვინაიდან კრებაზე შესვლა უფასო იყო, აუარებელი ხალხი დაიწრო. ქართველი ხალხის კულტურული განვითარება ყოველივე ეჭვს გარეშე, თუ სახეში მივიღებთ კრებებზე სიხარულსა და ლაპარაკს.

ხანგრძლივი კაშთისა და შეჯახ-შემოჯახების შემდეგ კრების აირჩია ხუთმეტი დეპუტატი, რომელთაგან შესვდა საბჭო, სახელშოდებით „ეშმაკის დეპუტატთა საბჭო“.

დეპუტატთა საბჭომ გამოჰყო „აღმასრულებელი კომიტეტი“, ხოლო კომიტეტმა სარედაქციო საქმენი გაანაწილა კომისართა შორის. ეს გარემოება უნდა მიეწეროს კრების სურვილს სარედაქციო საქმეთა ჯეროვან მოწყობისას და არა იმას, თითქო საქართველოში ყველა წარჩინებული პირი უთურდ „კომისარი“ უნდა იყოს.

მთავარ ანუ რედაქტორ კომისარად ერთხმად არჩეულ იქმნა ამხანაგი ეშმაკი, რომელმაც არ მოისურვა ფსევდონიმის უკუგდება დამფუძნებელი კრების მოწვევისა და დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემარებამდე.

ფილეტონ კომისარად არჩეულ იქმნა ამს. მორიელი, დიდი ხმის უშერესობით. მას დაევალა წერა როგორც „პატარა“, აგრეოვე „დიდ“ ფელეტონებისა.

ზარად-კომისარობა ერთხმად მიეკუთნა დახელოვნებულს ამ დარგში ამხანაგ კოლოს და თანაც დაევალა უკუთესი ზერადების უხშირესი თხზეა.

პრეს-კომისარად არჩეულ იქმნა ჩვენი ახალგაზრდა თანამშრომელი ამს. სამართლებელი. მას ევალება თვალყური აღვნოს უურნალ-გაზეთებს და ამოკრიბოს იქიდან ყოველივე საეშმაკო.

ფოსტ-კომისარობა კრებამ მიანდო ამს. კ—ის.

აღნიშნული კომისარი ვალდებულია დაუყოვნებლივ პასუხი გასცეს პარტიის წევრებს და მიუთითოს მთსაგოდრე ნაწარმოებთა ამა თუ იმ ტაქტზე.

მუზ-კომისარობა დროებით მიიღო თავის თავზე ამს. ეშმაკმა. ამგვარი ინცინდენტი პეტროგრადშიაც მოხდა. ჩვენ ვიცით, რომ ა. ი. გურვანი ასრულებს თანამდებობას ზღვათა და სამხედრო მინისტრისას. მუზ-კომისარს ევალება შეჲკვეცოს ქ-ნი მუზის პარტაში საქართველოს ტერიტორიაზე. ვიჩერი განვმარტო, რომ „შეკვეცა პარტიშია“ სრულიადაც არ ნიშნავს ვისიმე თავისუფლების შებოჭვას, არამედ მას მხოლოდ ნება არ ექნება იპარაპშოს თავის ნებაზე.

შტაბ-კომისარობა ერთხმათ ებოდა ამს. ისტორიკოსს. მის მოვალეობას შეადგენს მიმოხილვა საგარეო და საშინაო მიმისი, ხოლო მიმოხილვას მისას გადასათვალიერებლათ ენიშნება ცენზორ-კომისარი ი. გე—ვა—ლი.

სცენ-კომისარიათ არჩეულ იქმნენ ამს. გოგია და ლ. ობოლი. მათ უკვე იციან თავისი მოვალეობა, რასაც პირნათლად ისრულებენ.

იგავ-კომისარობაზე სასურველი კანლიდატი არ აღმოჩნდა. ძველათ ცნობილნი იგავ-მწერლები ა. ბლიკვაძე და ონისიმე კარგა ხანია უგზო-უკვლოთ დაიკარგნენ. აღმასრულებელ კომიტეტს დაევალა ყოველი ღონის ძიება მიიღოს მათ აღმოსაჩენათ, ხოლო ვიდრე ეს არ მომხდარა იგავ-კომისარის ტახტი თავისუფალი დარჩეს.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია აგრეოვე მესტეტონ-კომისარის არჩევამ. მთელი კრება ერთხმად ითხოვდა ამ თანამდებობაზე ამს. ბლიკვაძის დაფუძნებას, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ის ჯერ-ჯერმით ვერ იღმოგვიჩნია.

გამოითქვა აზრი ამგვარი განაწილებისა: ონისიმე—იგავ-კომისარი, ხოლო ბლიკვაძე მესტეტონ-კომისარი, მაგრამ ამს. მორიელის შენიშვნისა არ იყოს ეს წააგავს „ცაში წეროს ხილვის და ძირს შამფურის“ თლას“.

თარგმან-კომისარის აღგილზე ერთხმად არჩეულ იქმნა ლ. ჩ—ლი. მას ევალება საგარეო პოლიტიკა, ანუ უცხო ერთა თვალყურის დევნება და მათ ნაწარმოებთა ქართულ ქმნა.

არჩეულ იქმნენ აგრეოვე კომისარები: კორექ-

კურისა, კარიკატურისა, სტამბისა, ცინკოგრაფიისა
და სხ. და სხ. და სხვათა.

კრება დასრულდა ნაშუალამევის პირველ სა-
თე. *)

ამხანაგებო! გამოუცხადეთ ნდობა ახალ მთავ-
რობას! მოითხოვთ კარგი ფელეტონები! იბრძო-
ეთ კარგი კარიკატურებისათვის. მხარი დაუჭირეთ
აჩვენებს!

გაუმარჯოს „ეშმაკის მათრახის!“

ეშმაკი.

სიზმარ-ცხადი

სიზმარი ვნახე, თეის წინად,
ხევში წყვდიადი ქრებოდა,
მზის ოქროს ფერი სხივები,
ქვეყნის მკერდს ექარგებოდა;—
დამტრთხალი დამის სულები,
ორწოხში იკარგებოდა.
მახვილი ნემეზიდისა,
მების კვერთხსავით ელავდა.—
მუშა და ჯარი ქუჩაში,
მრისხანე ტალღათ ღელავდა.
ამათი ძლევის ყიჯინა,
კიდით კიდემდი წვდებოდა,
ორთავიანი არწივი,
ფეხზე ვეღარი დგებოდა.
გამცემ გამყიდველ მინისტრებს,
ციხეში ერეკებოდენ,
ჯაშუშები და ჯანდრები
მათ უკან გამოყვებოდენ.
„მოღვაწე“ პროვოკატორებს
გულს შიში ეპარებოდა;
(ვერ გაჰყიდიან მოძმებ,

*) ფოთის ქადაქის კომისრად
არჩეულ იქნა ბუტონა...
(თუმცა მან საჭაჭალეთოს
ბოლო დროს ცოტა უმტკუნა.)
აგრეთვე ქუთაისისთვის
გვექანს კომისარად ხუნაგი
(თუმცა ბოლო სანად იმანაც
სხვა აირჩია ბუნავი.)

ამაზე გული წყდებოდა.)
ხმა მართლის სამართალისა,
როგორც ყუმბარა სკდებოდა:—
თავისუფლების უინელილი
ყველას გულთ ეკიდებოდა.—
მეფე და მისი მეუღლე
რაპუტინს ევედრებოდა:
„იხსენ წმინდაო, რუსეთი!“
ეს ლოცვა ბაგეთ ხთებოდა.
წითელთა თროშათ ფრიალი
ლაუგარდ ცის გულსა სწვდებოდა
ხალხი მას „მარსელიოზის“
სიმღერით ეგებებოდა.
ღლეს გამოვფხიზლდი და ვხედავ
სინამდვილე ყოველი;
და აწ ერთობის შემყურე,
ყოველ სიკეთეს მოველი...

როკოკო.

„ეირიაუი აოროი“

„ეშმაკის მათრახის“ რედაქტორ. — კომისარ ბ-ნ
ეშმაკა.

მოქალაქე ეშმაკი უმორჩილესად გთხოვ (და
არ მოვითხოვ, როგორც დროს შეეფერება). თქვე-
ნი პატივცემული უურნილის უკანასკნელ გვერდზე
მცირე (თუ ბევრი არ დასჭირდა) ადგილი (მიწა
არ იგულისხმოთ, ქალალზე გთხოვ, წინააღმდეგი
გარ როგორც მიწის დატაცების, ისე სოციალიზა-
ციის) დაუთმო ამასთანავე წარმოვლინებულ გამო-
ცანას, რომელიც ცნობილი საზოგადო მოღვაწის
და ღიღებული მოქალაქის განსვენებული სოლო-
მონ ზურგიელიძის ღაუბეჭდავ ხელთნაწერებში
აღმოვაჩინე. სოლომონის სახელის გაღონებაზე შენ
განცვიფრდები და იკითხავ: რატომ უკანასკნელ
გვერდზე თხოულობ ადგილს, როდესაც პირველსაც
სიამოვნებით დაგითმობდიო? ვიცი, ეშმაკი, რომ
დიდ პატივსა სცემ სოლომონის ხსოვნას, მაგრამ
მე მაინცა გთხოვ უკანასკნელ გვერდზე მოათავ-
სოთ გამოცანა. ის რატომ: ჯერ ერთი, თვით
უკვდავ სოლომონს აქვს ერთ ადგილს ნათქვამი:
„გამოცანების ადგილი
უკანასკნელი გვერდიაო.“

რადგანაც მისი დაბეჭდება
უკეთესია ბოლოში”.

უნდა ვიგულისხმოთ, რასაკვირველია ეურნალის გვერდი და არა ის, რომლისაგანაც ევა წარმოიშვა. მეორეც ისა, რომ გამოცანებს სოლომონის მეცნიერულ და მხატვრულ ნაწარმოებთა შორის სამართლიანათ უკავია უკანასკნელი ადგილი. და, მესამეც ისა, რომ ასეთი ადათი არსებობდა ძველათ ჩვენს ურნალებში აი თვით გამოცანაც:

,საამდროო გამოცანა“ *)

ე ი ო ი ა უ ი, ა ო ი ი ა
ი ო ი ა უ ი ა ო ი ი ა
ო ი ა უ ი ა ო ი ი ა
ი ა უ ი ა ო ი ი ა
ა უ ი ა ო ი ი ა
უ ი ა ო ი ი ა
, ა ო ი ი ა
ა ო ი ი ა
ო ი ა
ო ი ა
ა

გამოცანას ბოლოში სოლომონისავე ხელით მიწერილი აქვს:

,,ვინც ამ გამოცანას ვერ ახსნის,
უცილებლათ ბრიუგია
ჰკუნის, თუ კი ჰქუა აქვს,
ახსნა არ გაუჭირდება.

უნდა გამოგიტყდე, ბ. ეჭმაკო, რომ ამ გამოცანის აღმოჩენის შემდეგ სამი ღდე და ღამე ძილი და მოსვენება არ მიპარებია ჩემს თვალებს. ყველაფერი დამავიწყდა ქვეყანაზე: რევოლუციაც, რეაქციაც, პროგრეაციაც და ყველგვარი კომისიაც. სამი ღდე და ღამე ბრიუგია და სულელის სახელს ვატარებდი უკვდავი სოლომონის განაჩენით. მაგრამ ბოლოს მინც გამორჯვებული გამოვედი. გამოცანა აქსენი.

ახლა მსურს ეს შესანიშნავი გამოცანა „ეჭმაკის მათრახში“ დაიბეჭდოს. მხოლოდ აქვე უნდა

თუმცა გამოცანა წარსულ საუკუნეში არის დაწერილი მაგრამ აღარ მაშინაც ღრმული ყოფილა.

დავურთო ზოგიერთი განმარტება, რომ ცოტათ შეინც გაუადვილდეს მკითხველს გამოცანის ახსნა.

პირველ ყოვლისა თქვენს ყურადღებას მივაძყრობ გამოცანის აგებულებას. ის ლექსითაა გამოთქმული, ლექს არც ერთი თანხლოვანი ასო არ ურევია. ლექსი გეომეტრიულ ფიგურის — სამ კუთხებს წარმოადგენს*). უკელა ეს ასეთი თვისებებია, რომლებიც მხოლოდ ზურგიელიძის პოვზის დამახასიათებლათ უნდა ჩაითვალოს. არსად ამისი მსგავსი რამ სხვა ჩვენს გამოჩენილ მხატვრულ ნაწარმოებთა შორის ძველათ არ შეგვხედრია. მე ვკისრულობ გაბეჭულებას და ვამტკიცებ, რომ ზურგიელიდე ყველა ჩვენს პოეტებზე მაღლა დგას ამ მხრივ და პირველი ადგილი უკავია მათ შორის. არც ერთს ჩვენს პოეტს მარტო ხმოვანი ასოებით აწყობილი ლექსი არ გამოუთქვამს. ეს კი სოლომონს ლექსის კეონილ ხმოვანებისათვის აქვს შემოღებული.

გარდა ამისა, თუ ლექსს მარჯვენა კუთხიდან ქვემოდან ზევით თვალს შეავლებთ, თქვენს განცვიფრებას საზღვარი არ ექნება. წარმოიდგინეთ მთელი ლექსის უკანასკნელი მარცვალი არის ყოველ სტრიქონში „ია“, ესე იგი იმ ცვავილის სახელი, რომელიც თვისი სინაზით და კეთილსურნელებით ასე მძლავრათ გვეხილავს და გვითრობს, და რომელიც ყველა ყვავილთა შორის უკეთილხმოვანებისა თვისი სახელწოდებით. ეს კიდევ ცოტაა. გაცყევით ისევ ლექსის აგებულებას მარჯვნიდან შარცნივ**) და თქვენ კიდევ მეტ განსაცვიფრებელ სურათს ნახათ. მთელ ლექსს საფეხურებივით ერთი და იგივე ასო მისდევს ძირიდან წვერომდე. მხოლოდ ზეადამიანის გონებას შეეძლო ასულიყო პოეზიის ასეთი უმწვერებელი განვითარების საფეხურომდე. ასეთიც არის ჩემი უკვდავი გენისი სოლომონი. ახლა ჩაკვირდით ლექსის თვითვულ პრქარს, და დასტკებით მისი შეუდარებელი მუსიკა პოლური ეზიით!

*) სოლომონის დროს მიოლოდ აგურისებური ფორმის ლექსები იწერებოდა. კუდ მივიწროებული, სამკუთხედი ლექსების წერა სოლომონის მიმბაძველობით დაიწყეს ჩვენში ამ უკანასკნელ დროს.

**) ამ მიღწეულებიდანაც (შარჯვნიდან შარცნით!) ბეგრი საგულისხმიერო დასტკება შეიძლება გამოვიდანთ, შესხებ ჩემი მგზანის მსოფლი მხედველობისა.

ბევრი რამ საიდუმლოება მარხია აღმართ ამ ლექსის წყობილებიაში, მაგრამ ეს ტექნიკის მომინდვია, ბ. ეშმაკო, გამოსააშეარავებლათ. მფაქი ამ უცილებელი გძელი წინასიტყვაობის შემდეგ ისევ გამოცანის დედა აზრს მივაქცევ მყითხველის ცურადლებას.

როდესაც ორი დღე განვლე გონების საშინელ მუშაობასა და ოფლის ღვრაში, ის იყო, სასოფარკეთილს მსურდა სოლომონის განაჩენისათვის საკუთარი ხელი მომეწერა და ჩემი თავი ბრიყვათ მელიარებია, რომ უკურათ ერთმა აზრმა გამიელვა თავში. აკროსტიხის ფორმაში ხომ არ არის ლექსი ჩამოსხმული მეთქი? მიბნელილი თვალები ისევ ლექსს დავაჭიუტე და სიხარულით კინალამ ცას მივსწვდი ჩემი მოყვანილობის პატრონი**) მთელი პირველი სტრიქონი თავისი აგებულობით და შემადგენლობით სახსებით განმეორება პირველი მარცხენა სვეტის თვილან დაყოლებული და ასე წაიკითხება:

მიორიაუი აოოია.

სტრიქონის გასაყოფი ნიშანიც ე. ი. მძიმე სოლომონს აქვს თავისი ხელით დასმული და ახსნაში უწერია: „ორი სიტყვა არისო“⁵. ეს საქმარისი არ იყო კიდევ. გამოცანა მაინც გამოუცნობელი იყო. უკანასკნელი მესამე დღე მხოლოდ ამ ორი სიტყვის ამოხსნას შევალიე ჩემი ძალ-ღონე. ბევრი ვიმტვრიე თავი, ბევრი ვითავცებე. ბოლოს შეშლილს დავემსგავსე. ამ ორი „უაზრო“ სიტყვის გარდა ჩემს თავში აღარაფერი აზრი აღარ მოიპოვებოდა. საშინათ დამეაფრა ნერვები. დავიწყე ოთახის კუთხიდან კუთხემდე სიარული და მხოლოდ ერთსა და იმავეს ვიმეორებდი: ეიორიაუი აოოია. ჯერ ნელა და მტრე და მტრე ხშა მაღლა. დაუსრულებელი არაფერი არ არის. ბოლოს ჩემს ტანჯვასაც მოედო ბოლო. გამოცანა იქსენი. საკირო დარჩა მხოლოდ შიგა და შიგ თანხმოვანი ასოების ჩასმა და გამოცანაც დამარცხებული გაიზოლტა ჩემს წინაშე. უნდა გამოგიტყდეთ მე თვოთონ გამოცანა იმდენათ არ შაინტერესებდა, რამდენათაც ის, რომ როგორმე თვილან მომეხსნა

, „ბრიყვის“: სახელწოდება. ჩემს აღტაცებას საზღვარი არ ქონდა. მზეთ ვიყავი სოლომონ ზურგიყლი-ხე გულში ჩამეჭრა და ჩამეკუნცა.


ახლა თქვენ სტადეთ პატიცემულო მკითხველნო, თქვენი ჰქუის ძალა და დაუმტკიცეთ უკვედავ სოლომონს, რომ ჩეგნში ბევრი მოიპოვაა ისე-თი პირები რომლებიც მის ბრძნულ გამოცანას ახსნიან და ბრიყვთა წრეში არ მოისურვებენ დასკუპებას. თუ ვინცობა გამოცანა ვერავინ ახსნარაც არა მჯერა. ასეთები ცოტა მეგულება არა თუ თავისუფალ საქართველოში, არამედ ბრძყალებიან „საქართველოშიაც“, მაშინ მეიძულებული ვიქნები თვითონ აგიხსნათ ის და გამოგიყვანოთ უხერხული მდგომარეობიდან, რომელშიდაც ჩემდა უნებურათ ერთი კვირით დარჩებით მხოლოთ.

ვაფრათხილებ ბ. ბ. ექიმებს, ხუცებს და აზნაურებს თავს ნუ შეიწუხებენ ტყვილათ. ზურგიყლიძის მაგიერ ბოდიშს ვიხდი მათ წინაშე, რომ ასეთ უსიამინებობას ვაყენებ, მაგრამ მე აქ ერთად ერთი მოსაზრებით ვხელმძღვანელობ: მე არ მინდა, რომ უბრალოთ დაიკარგოს ამდენ მუშაკთა შრომა, როდესაც ის ასე საჭიროა შემოსეული გარეშე მტრისა და შინაგანი რეაქციისაგან სამშობლოს დასკავათ.

ჩემს გვარსა და მისამართს არ ვაცხადებ, რადგან მეშინია ძალმომრეობის მსხვერპლი არ უგვიქნე. როდესაც გამოცანას აეხსნი და ცველის გეცოლინებათ მისი მნიშვნელობა, მაშინ მეც ჩამოვიხდი ნიაღაბს და ნამდვილი გვარით წარმოვსდგები თქვენს წინაშე. მანამდე-კი ესთხოვ „ეშმაკის მათრახისი“, კომისარს ბ. ეშმაკს საიდუმლოთ დაიცვის ცნობის მოყვარეთაგან ჩემი ფსევდონიმი, ხოლო „მელადებებისაგან“ ჩემი პიროვნება და ტანის მოხაზულობა, ვინაიდან ქალაქის მილიციას ჩემთვის არ სცალია.

გამოცანის ახსნა მსურველს შეუძლია გამოაგზავნოს „ეშმაკის მათრახისი“. რედაქციაში.

კენჭი.



^{*)} მეთხველს რომ გაუდვილდეს წარმოდგენა, ჩემს მოყვანილობას თვალსაჩინოთ ასე გამოვსახავ: ღია აფრომობილში როცა ვზიფარ, მარტო ყურების ზევით მოგსჩანვარ.

უდიდეს დადუღლების ფარდა ეცდება.

ოქვენ უკვე ჩაკითხული გექნებათ ზემორე ამისა მოთავსებული საისტორიო გამოცანა სოფომონ ზურგიელიძისა, რომელიც შემთხვევით აღმოუჩენია ჩვენს ნიჭიერ თანამშრომელს ამ. კენჭს. ჩვეულებრივის თავმდაბლობით გვთხოვს ამს. კენჭი მის წერილს უურნალის უკანასკნელი გვერდი დავუთმოთ, მაგრამ ეს ჩვენს ძალ-ღონეს აღემატება. თუნდაც ძვირფასი სოლომონი იმ აზრისა ყოფილიყო „გამოცანების“ შესახებ, როგორი აზრიც მის ტაქტია გამოთქმული, ჩვენ მაინც წინააღმდეგ წავიდოდით. ნეტარ ხსენებულმა აკაკიმ ანდერძი დასტოვა საჩხერეში დაეკრძალათ ნეშტი მისი, მაგრამ მაღლიერმა სამშობლომ ის მთაჭმინდაში აასვენა და მიივიწყა.

ასეთ ჩვენი საქმეც. სოლომონის ყოველი სიტყვა, ეგ ხალხის სიტყვა და ჩვენ არ შეგვიძლია ის მეოქვესმეტე გვერდზე გადავასახლოთ.

ესეც არ იყოს, ჩვენს წინაშე სასწაული ხდება! მეტსაც ვიტყვით, ჩვენს წინაშე ნამდვილი სასწაული ხდება! ფარდა ეხდება ერთ უდიდეს სავითხს, ერთ უდიდეს საიდუმლოს ჩვენი წარსულისას.

ნუ ვიქებით სულმოკლენი! დაე, ყოველი ქართველი თავისი საკუთარი ძალლონით მივიდეს იმ დასკვნამდე, სადაც მივყევართ უკვდავი სოლომონის გენიას. „სამდროო გამოცანა“ გასაღებია იმ ცხრაკლიტულისა, რომელშიაც რეაქციამ ვერაგულათ ჩაჰეტა ჩვენი უკვდავი მგონისის მსოფლ-მხედველობა.

გასაღები ხელთა გაქვთ, სცადეთ განთავისუფლება მზეთ უნახავითა.

მორიელი.



მ ა რ ა დ ლ ე ბ

აი, შეხედეთ ამ ცხოველს
რა უშნო სახის ჯიშა!

შეძრება თავის ჯავშანში
მტრის აღარა აქვს შიშია.

დადის სისწრაფით, ვითარცა
კახეთის რკინის ცხენია.
(არა თუ დევნა იმისი,
ყურებაც მოსაწყენია).

ორი ასო აქვს სახელად.
ხმოვანი, თანხმოვანითა.
გავსწიროთ ბოლო მათგანი,
კრაფოფილ გავხდეთ ამითა.

აწ მოიგონეთ ამბავი,
(თუ მოგონება სჭირია)
რაც ეგროპის მიწაწყალს
მოედო, როგორც ჭირია.

განადგურა კულტურა,
მუსრი გაავლო ხალხებსა.
(მისი ბრალია თუ ხედავთ
სამგლოვიარო თალხებსა).

ბოლო არ უჩანს, თუმცალა
ყველა ესწრაფევის იმასა,
თუ როდის გაათავებენ
ცრემლთა და სისხლის წვიმასა.

სრულად გვჭირია სახელი
ეგ მოსასპობი ჭირისა,
ვისგანაც მთელი ქვეყანა
დღეს ცხარე ცრემლით სტირისა.

მესამე სიტყვა, რომელიც
წინ გვიდგას საძებარათა
იმერეთისკენ იციან
ლობეთა დასამყარათა.

წაბლისა არის ნაქები,
მუხაც არ დაიწუნების
სიმაგრე მართებს, რამეთუ
ზედ წკნელი გაიღუნების.

ავილოთ სიტყვა უკლებლივ,
შიგ მეტი არაფერია

და თუ იმუშავ უოველი
ჰარადაც უენიერია.

ხელობა არის ანალი,
ხელობა განახურია,
საგ მოვდო ქვეყანას
გით გადამდები ჭირია.
შოგვტაცა დანაშრომლები
უურნალისტ-დრამატურგია,
დაუფრთხო მცნებას მუზები,
გამხადა ჩენითვის ურგია.
წაგვართვა კორესპონდენტი
სოფლებში განაწესია,
რას ვიზამთ, უოვლის მიზეზი
აზალი ადამ-წესია.

კოლო.

გრძნული სიტყვები

(ნიკოლოზ მეორისა)

(დასასრული)

10 ივლის საღილზე მეფემ სთქვა:

„გსვამ სადლეგრძელოს მათი უმაღლესობის
ბულგარეთის თავალისა და მისი მეუღლისას,
აგრეთვე ჩემი ნათლულის ბორისისას და ვუსურვებ
ბულგარეთს აყვავებას“. (მთ. მ. 1898 წ. № 150).

რუმინის მეფის წვევის გამო გამართულ სა-
ღილზე მეფემ სთქვა:

„გმაღლობ, თქვენი უდიდებულესობავ, ნახ-
ვისთვის. გილებ პიქას და გსვამ სადლეგრძე-
ლოს თქვენი უდიდებულესობისას და მთელი
თქვენი ოჯახობისას“. (მთ. მ. 1898 წ. № 156).

16 აგვისტოს სიოლქო მამსახლისთა, გიორ-
გის კავალერთა და სოფლების წარმომადგენელთა
საღილზე მეფემ სთქვა:

„მე ბედნიერი ვარ თქვენი ხელახლა ხილვით.
გმაღლობ სამსახურისათვის, განსაკუთრებით
გიორგის კავალერებს. გსვამ, ძმებო, თქვენს
სადლეგრძელოს“. (მთ. მ. 1898 წ. № 182).

სევასტოპოლის დათვალიერების დროს მეფემ
მეზღვაურებს მიმართა:

„მე მუდამ მიხაროდა სევასტოპოლში ყოფნა.

ბედნიერი ვართ მე და დედოფალი თქვენს
შორის ყოფნით. გმაღლობთ, ბატონებო, გუ-
ლითადი მიღებისათვის და გსვამ შავი ჰლვის
ფლოტის სადლეგრძელოს“. (მთ. მ. 1898 წ.
№ 186).

15 მაისს 1900 წ. კრონშტადტში მეფემ კრი-
სიერ „აზოვის სსოფნის“ გეზღვაურებს მიშართა:
„გსვამ სადლეგრძელოს ჩემი ძვირფასი მეზ-
ღვაურებისას“. (მთ. მ. 1900 წ. № 112).

5 ივლისს 1900 წ. სპარსეთის შიხის წვევის
გან მეფემ სთქვა:

„მისი უდიდებულესობის შიხ მუზაფერ ედინის
და სპარსეთის სადლეგრძელო იუს“. (მთ.
მ. 1900 წ. № 153).

18 დეკემბერს ლივალიაში მეფემ სთქვა:
„მე გსვამ სადლეგრძელოს სახელოვანი
მსროლელთა მეოთხე ბრიგადისა“. გსტოვებთ რამდენიმე სიტყვებს, რომელიც
დანაც იქრობირის მჭევრმეტყველობა ცოტა მონ
ლუნგებულია.

30 მარტს 1904 წ. მეფემ სთქვა:
„ბატონებო დედოფლისა და ჩემი სახელით
გსვამ სადლეგრძელოს ცხენისანთა ლეიბგვარ-
დიის პოლკის მეომრებისას“. (მთ. მ. 1904 წ.
№ 76).

8 მაისს მეფემ მოსკოვის თავიდანნაურთაგან
პურმარილი მიიღო და უემდეგ სთქვა:

„გულითაცი მაღლობელი იმ გრძნობებისთვის,
რომელიც ჩემდამი გამოსთქვა მოსკოვის თა-
ვად-აზნაურობამ. გადაფიცი თავად-აზნაურობას
ჩემი წრფელი მაღლობა“. (მთ. მ. 1904 № 108).

17 სექტემბერს ხერსონის გუბ. აზნაურთა ში-
სალმებაზე მეფემ სთქვა:


„გმაღლობთ პურმარილისათვის. გადაფიცი თა-
ვად-აზნაურობას ჩემი მაღლობა“. (მთ. მოაბბ.
1904 წ. № 213).

ხერსონის გლეხთა დეპუტატის უთხრა:
„გმაღლობთ და იმედს გამოვსთქვამ, რომ სოფ-
ლის საზოგადოებანი იზრუნებენ ჯარის კაცთა
ოჯახების დამარტინისათვის“.

15 ივლის დედოვიდან მოსკოვი დეპუტის სა-
პასუხოთ მეფემ დასწერა:

„რუსეთის ხალხს შეუძლია მენდოს შე. ირა-


რ ა ს ა ც დ ა ს თ ი ნ ა პ,



ბუშინ გარედან

ბიუროკრატ მთავრობაშე. ეს ციხე ჩინებული გამოვა. ფანჯრები ისეთი ვიწრო აქვს, რომ ვეონებ მხის სხივიც გერგაძვრება. კედლებს ვერ გაანმრევს ვერც ზარბაზანის უმბარადა სივრცითაც მოელ ქალაქს დაიტევს.

0 0 1 6 0 0 3 0!



ო. გ. მლაინგი -

დღეს შიგნიდან

ბიუროებად მთავრობაძე. ეჭ, სად მქონდა ჭკუა, თორებ
განა ჩემ სელთ არ იუღ? მინდოდა ისეთ ფანჯრებს გაფუჭ-
თებდი, რომ მზე სელის გულზე მქონოდა...

სოდეს არ შევერავ დიდი რუსეთისათვის ხამარ-
ცხეინო ზაქს“. (მთ. მ. 1915 წ. № 154).

23 აგვისტოს ლიბავაში კურლიანდის თავად-
აზნაურთა დეპუტაციას უთხრა:

„მადლობას გწირავთ, ბატონებო, პატივით მი-
ღებისათვის. შე ვსვამ კურლიანდის თავად-
აზნაურობის სადლეგრძელოს“.

24 ნოემბერს სემიონოვის პოლკის დღესასწაულ-
ზე მეფემ სთქვა:

„თქვენი სადლეგრძელო იყოს, ძმებო, ლეიბ-
გვარდიის სემენოვის პოლკს ვუსურვებ იყვა-
ვებას“. (მთ. მ. 1905 წ. № 252).

იმავე დღეს საუზმის დროს მეფემ სთქვა:

„მე ვსვამ თქვენ სადლეგრძელოს, ბატონებო,
და გისურვებთ ისეთსაცე მჭიდრ ოჯახურო კავ-
შირს, როგორიც ახლა გაქვთ“. (მთ. მ. 1905
წ. № 252).

ამგვარათ: 1895 წ. მეფეს წარმოუთქვამს 5
სიტყვა, 1985 წ.—2, 1896 წ.—14 (აქედან 10
იწყება „სმით“), 1897 წ.—13 (აქედან 10 „ვსვამ“),
1898 წ.—10 (ყველა „ვსვამ“), 1899 წ.—2
(„ვსვამ“ „ვსვამ“), 1900 წ.—8 (6 „ვსვამ“), 1904
წ.—4 „ვსვამ“ და ასე აღსასრულამდე ნიკოლოზის
მეფობისა.

გავლენა რევოლუციისა.

არავისთვის საეჭვო არ არის, რომ რევოლუ-
ცია მარტო ნგრევით არ კმაყოფილდება, იგი კი-
დევაც ჰქმნის.

საბუთი გნებავთ?

აი საბუთი. მან, რევოლუციამ, მართალია
ფრთხები მოსტება მგოსან ი. გრიშაშვილს, მაგრამ
სამაგიეროთ შექმნა ისე რაჭელი.

ახალგაზრდა მგოსანმა, ისე რაჭელმა, ორი სა-
უცხოვო ლექსი მოათავსა „თეატრი და ცხოვრე-
ბა“-ს მე-15 ნომერში. პირველი ლექსი „ა-შ-მ-
რ-ე-ბ-უ-ლ-ს“, ძღვნათ ეგზავნება ჯაშუშებს და
იწყება ამგვარი სმენის მომაჯადოებელი ტაეპით:

„საზიზდარნო! კუპი თქვენი

ნუ თუ ისე აღიზინდა,

რომ კაცური შემეცნება
შიგ გველიფით ასისინდა?“

უკვე ამ თარ შარგალიტ რითმში: „აღიზინდა,
ასისინდა“, აშკარათ სჩანს ახალგაზრდა მგოსნის
უტუური ნიკი, მაგრამ „თეატრი და ცხოვრება“-ს
იმავე ნომერში მოათავსებულია მეორე, უფრო
გრცელი ნაწარმოები ისე რაჭელისა „დიდება
შენდა“, რომელიც ეძღვნების დეპუტატ კარლო
ჩხეიძეს.

და ი, სწორეთ ეს მეორე ლექსი მგოსნისა
გვაძლევს ახალ საბუთს, დავინახოთ მასში ახალი
ძალა ბორციის განსასკეტაკებლათ რევოლუციის
მიერ ნაციონალისტურ ჯურლმულიდან მოვლენილი.

დასატრიუქტობათ ზემორე აღნიშნულისა მოვი-
ფვანოთ რამოდენიმე თვალსაჩინო საბუთი:

„და მეფე „მარტი“, ცულლუტი, ზანტი,
თავროვინა, როგორც დიდყურა,
უხეში, ურა“.

ყოველივე ებევს გარეშეა, რომ სიტყვა „მარ-
ტი“ ნახსენებია აქ ცვალებადობის აღსანიშნავთ
და გასაოცარის სისწორით არის ნახმარი, ვინაიდან
ყოფილი მეფე მართლაც მთელ თავის სიცოცხლეში
ერთ გარკვეულ რეაქციონურ გზას ედგა და თავი-
სი სურვილით არავის არაფარს დაპირებია. მაგრამ,
რამდენათაც ეს შეხედულება სწორია მეფეზე, იმ-
დენათ შემცდარია შეხედულება კარლო ჩხეიძეზე,
თითქო მან „ააყროყინა მეფე ვითარცა დიდყურა“.
თუ მართლაც ააყროყინა ვინმე კარლო ჩხეიძის
მოქმედებამ, პირველ ყოველისა თვით ივტორი ზე-
მო აღნიშნული ლექსისა.

კვევით მგოსანი ისე რაჭელი უფრო ააშკა-
რავებს თავისს ცხოველყოფელ ნიკს. იგი სწერს:

„დედოფალს ხელში მისცა ტარიგი,
ვირუბოვისას ის თაღარიგი...
რაც კურთხევითა რასპუტინითა
და მის წამყენთა წალკოტ-მტილითა,
„შიშტრ-კიტინითა“.

ამ კუპლეტის სიდიადეს ყველა ქართველი ჩი-
ნებულათ გაიგებს, მაგრამ აი გამოცანა:

„მეფის მინისტრებს, ნაცად „ვირისტებს“
ბედისა წერის რაც უგვირიშტებს“.

მართლიაც გასაოცარია, როგორ დაუახლოვდა ასე ახალგაზრდა მგოსანი ამ უწყინარსა და მშრომელ ცხოველს. აშეარაა, რომ ის ქართულ პოეზიაში დამსახურებულ „ვირისტის“ სახელს დაიმსახურებს და სამართლიანიც იქნება მისდამი ასეთი ყურადღება. მართლია ისიც, რომ მგოსანი მთელ თავის მგოსნურ ნიჭს შემოქმედებისას მარტო ვი. რებზე არ ამყარებს, რასაც აშეარათ მოწმობს პატარა სტრიქონი:

„ვაცად ვაცადებს, ბოტებს ნაცადებს.“

მაგრამ „ვაცები“ უთუოდ მეორე ხარისხოვან როლს ითამაშებენ ისე რაჭველის შემოქმედებაში, პირველი აღგილი იქ ვირს ექნება, ეს უკეველია.

საკვირველია, თუ სად იმალებოდა ამდენ ხანს ასეთი ძლიერი ნიჭი! ნუ თუ საჭირო იყო უდიდესი რევოლუცია, რომ „თვალი და ცხოვრებას“ კაბადონზე აღმოცურებულიყო კიდევ ერთი ასეთი მგოსანი!

კეშმარიტათ, ვისაცა აქვდენ, მიეცეს და მიემატოს!

სამართებელი.

პროცესუალური დღიური.

დღეს დუმაში ვიყავი. იქ სთქვეს, ვითომ მე სულელი ვიყო. ილბათ თვალ ყურს მაღვენებენ: ყველაფერი სცოდნიათ.

ვერ წარმომიდგენია, რატომ უნდათ ყველას, რომ მე თანამდებობიდან გადავდგე? უნდა შევეცალო საზოგადოებრივი აზრის გადმობირებას, შევეცდები პასუხის გებაში მისცე დეპუტატი კერძნსკი და დუმაში ჯანდრის მუნდირით მიეალ. ამბობენ ის მე ძალიან მიხდება.

ვიყავი მეფის სასახლეში. ძალიან საყვარელი ხალხია. მხოლოდ მეკარები უნდა გავაფრთხილო, რომ დღეიდან „შენობით“ არ მომართონ.

(მიწერილია ლურჯი ფანქარით: მეკარებს გადავეცი გაფრთხილება. სიცილი და მყარეს).

ქალაქში არეულობა დაიწყო. ამბობენ, ვითომ შეგი პური არ იშოვებოთ. საკირფელია. მე თც და ათი დაშაშხული ლორი შაქეს გადაშალული და ერთი ლუკმა პურიც-კი არ შემინახავს. შერე მე რათ არ ვყვირი? დუმაში აღტაცებით შემსდევ:

— რა განსაცვიფრებელი არაშეადაო, იძიხდენ დეპუტატები ცენტრიდან.

მემარჯვენე დეპუტატებმა იჭირეს ეს, მაგრამ რო შეიტყვეს ეს სიტყვები შე შეხებოდა დამშვიდენ. ისინი ყოველთვის დამიჭერენ შხარს.

არეულობამ საშიშარი ხასიათი მიიღო. მე შემეკითხენ: რას ფიქრობს ამის შესხებ მინისტრთა საბჭოო? მე მინისტრთა საბჭოს შაგიერ თვითონ გავეცი მოკლე პასუხი:

— დახვრიტე ყველანი!

ძალიან გაეხარდათ. მიწერები არიან ამ საშვალებას. შევიმუშავეთ სროლის გეგჩა. ძალიან მხიარულათ გავატარე დღე.

განსაცვიფრებელი სისწორით ესვრიან პოლიციელები. მეც-კი შექმედება სელები. მინდა ავიდე სახურავზე და ტყვიის მურქვეველი ივამუშავო. ავედი სახურავზე და გადავეცი:

— გმადლობ, ამხანაგო ტყვიის მფრქვეველო! ტყვიის მფრქვეველმა მოხდენილათ მომიგო:

— ვეცდებით თქვენო აღმიტებულებავ!

საბარგო ავტომობილებით შობალებენ უცნობი პირები. მეგონა სანფაგე მომართვეს მეთქი. თურმეჩემთან მოვიდენ. ვერ გამიგია რა სურთ. სამადლობელი აღრესის მორთმევა, თუ ჩემი ჩამოხჩიბა. ახლა იმისთანა დრო დადგა, რომ კაცი აღვილათ ვეღარაფერს ვერ გაიგებს.

ძალიან კარგი მოგონებად უკანა კარები. გავძევრი და ცარსკოე სელოში ამოგები თავი.

წავედი დუმაში. ძალიან პატივით მიმიღეს.

— აჲა, ეს თქვენა, ბრძანდებით პროტოპოპოვი?

— დიახ მე გახლავართ, პროტოპოპოვი.

— დაბძანდით, პროტოპოპოვო.

— ვისთვის? ხალხის გულისთვის, თუ ნიკოლოზ მეორესთვის?

— ბევრს ნუ მიედ-მოედები. ჯერ მარჯვნივ გაუხვიეთ, მერე მარცხნით. იქ გაჩვენებენ.

ვხედავ, ყველა ჩვენები აქ შეუკრებიათ. ძალიან გამიხარდა. სამწუხაროა, სათამაშო კარტი თან არ წამოვიდე. ვითამაშებდით.

საიდუმლოთ მოველაბარაკე კერენსკის. მოვუკევი სად არის დამალული ტყვიის მფრქველები. რა ჯურის კაცია ღდნავაც არ გაილიმა. გამომშვიდობის დროს ხელი გავუწიე. ის ძალიან ელამი უნდა იყოს. ჩემი ხელი ვერ შეაჩნია, შემხედა მხოლოდ, გაბრუნდა, ზურგი შემომაქცია და გავიდა. ალბათ ვერ დაინახა ჩემი გაწვდილი ხელი.

დღიურის უკანასკნელ გვერდზე, ასანთის ნახ-შირით არის მიწერილი:

— „ამხანაგო ჯარის კაცო: თამბაქო ხომ არა გაქვს? მე საერთოდ ხალხისკენა ვარ!“

თარგ. დ. ჩ—სა.

ს პ ა მ ა ბ ს მ

(აფიშების გამკვრელის მოგონება)

ამხანაგებო და მოქალაქენი! დღეს პირველი მაისია. გქმით, პირველი მაისი! დღეს ჩვენი სლობოდის დღეობაა. ისე უნდა ვიქეიფოთ, რომ სულ ქული ქერში ვკრათ. იცით ეხლა მე ვინა ვარ? ის ჩანჩქერა ავეტიქა არ გეგონოთ აქამდინ რომ გარა-ღოვების შიშით წელკავიან ძალივით ვიყავი მოკუნტული და კუდ გაცქვლეული ვირთაგვასავით სოროში მქონდა ცხვირი ჩარჭობილი ეხლა მე, სიმაღლეშიაც გაწეული ვარ და სიგანეშიაც! ვა, რას ამბობ კაცო, გავიწევი რომელია მე რომ იმ ჯანდარ-პრისტავ-აკალოშნიკ-გოროდოვების ონები მამაგონდება პრადალგავატი მოზგის უდარი მომდის უფლის მადლმა!

გუშინწინ სიზმარში ვნახე ჯანდრის პოლკო-ნიკი და შიშით თმები ისე წამიშალნენ და სმირნა-ში დადგნენ, რომ გეგონებოდათ ტრიოხლინეინი ვინტოვკის შტიკებით!

არა, პირველ მაისობის ღანჩეს რომ მომადგე-ბოდნენ ხოლმე კარზე ჯანდრები და კარგი ძმაბი-

ქებივით მომიქაულნებდნენ: „ავეტიქ, ატკრო დვე-რი!“-ო ისე არხეინათ და უსირცხვილოთ მოდიოდ-ნენ, თითქოს პეტრი, პრიგლაშიტელნი ბარათები-თა მყოლოდნენ დაპატიჟებული!

ერთ ღამეს იმ ურწმუნოებმა ისეთი ელდა მკრეს, რომ მაშინდელი შიშით გათეთრებული თმა-წვერი დღესაც ვერ მოვაქრისტიანე! ხან ზეგრანიჩ-ნი მაზი ვიხმარე, ხან პეტრო სორტის ვაქსი ვისეი, მაგრამ მაინც ვერ გავაშავე! მოდი და ნუ შაგეშინ-დება! მამიქაულნეს ერთ ღამეს კარები და მეც მა-მენტალნათ წამოვარდი. ეს არის კარები უნდა გა-უღო რომ სტოლზე წითელი პრაკლამაციები დავი-ნახე! პრაკლამაციამ!!! იქვე ჩაიკეცე და ის იყო კიდევაც გაუკეთებდი ვიზიტს მამაქემ ტიგრანას სა-იქიოს, რომ ჩემი დედაკაცი არ წამოვარდნილიყო. ხელათ მასხურა ცივი წყალი, შუბლზე ხელები გა-დამის-გადმომისო და მამსულიერა კაცი. ვა, რა-ზორბათ მაიქცა, რა ქალობა გამოიჩინა იმ არამზა-დამ იმან! თვალის დახამხამებაზე ჩაიცო ტანისამოსი, ის პრაკლამაციები წინ გრუდში ჩაილაგა და ისე არხეინათ დაღა, თითქოს აქ არაფერიათ! ეს საქ-მე რომ მოვაჭრაკე ავდექი და ხელათ გაუღე კა-რები. შამოცვიდნენ ის ზეგრინცის მგლები და და-უწყეს სახლს გადმობრუნება! მე და ჩემი დედაკაცი სმირნაში ვდგევართ. უყურებ ამ დედაკაცს და რა-ლაცა არ მექმუნიკება, რაღაცა შიში მეპარება თან და თან. კაცო, ამ პირდაღლს ისე პადაზრიტელნა-თა აქვს ეს გრუდი გამობერილი, რომ გეგონება თელეთის გუმბათიაო გაწერთნილ-გაცვეთილი ჯან-დარი კი არა, ყველა ღოყლაპია ზარუბას, რომ ის ნასტაიაში გრუდი არ არის. დედაკაცი ჯანდრის მამის ლავაშივით გაპტყელებულია, ფეხები დიმპლი-პიტოს ჯობებივით გასწვრილებია და გრუდი კი მა-ისის ბუღას მიუგაეს! მე რა მომეწონა ეს ჩვენი შტუკა და მაინც კატასავით გავნაბეგ სული და ვი-ფიქრე იქნება გადავრჩე მეთქი, მაგრამ ბანჩქნეს! ისე უსვინდისოთ დაუწყეს ჩხრეკა, ისე უნამუსოთ აუს-ჩაუსევს ხელი ამ ჩემ სობსტევნი დედაკაცს, რომ თითქოს ჯვარი იმათ დაეწეროთ კეკეზე და მე ისე ტირაცუათა ვყოფილიყავი ქორწილში კაცო, ერ-თიბეწ ხათრი არ შამინახეს ამ ურჯულოებმა რაც უნდა იყოს ქმარი ვარ, ვირის თავი ხომ არა ვარ, რომ ჩემ ვარდს სხვა სწყვეტდეს და მე ღოყლაპია-სავით პირი დავაღო და უყურო! კიჭინაზე ვსქდები

კაცი, საფეხქლები ხალიანის ტარალანის ლაუგუჩები-
ვით შებერება, მაგრამ რომ მაწიეს კეკეს გრუდამ-
ლინ, მაშინ კი ვირის ოფლმა დამასხა და ვიყვირე;
გასპალინ ჯანდარ, ვი ნე იმეიშ პრავა ბეჭ მოი რა-
რეშენია ასმატრიტ მოი უენი გრუდ მეთქი, მაგრამ
ვინ დაგიჯერა! ჩაუყვეს ხელი და ამააცალეს წითელი
წითელი პრაკლამაციები. დავინახე თუ არა, მაშინვე
გავშეშდო კაცი! წამივიდა ფერი და ისე გავყვითლდი,
როგორც მწიფე პანტა ვიცი რაღა რომ გამაპრავა-
უაიტებენ მეტეხის აღმართისაკენ, მაგრამ რას ვიზამ!
„ოჟ, ეს კარგი ტიპოგრაფია გქონიაო!“ მითხრა
ჯანდრის პოლკონიკმა, დაუწყო სინჯვა პრაკლამა-
ციებს. სინჯვას, მაგრამ მე სული ფჩხილებში მება-
რება შიშით. ამ ცეცხლის აღში ვარ გახვეული,
რომ ერთბაშათ გაეცინა ამ ჩემ უქმურ პოლკონიკს
და ეს პრაკლამაციები სულ ერთიან თავში მამაყა-
რა. დაიწყეს ყველამ სიცილი, გატრიალდნენ, და
წავიდნენ. მამაჩემი ტიგრანა რომ ამდგარიყო საფ-
ლავიდან ისე არ გამიხარდებოდა, როგორც იმათი
წასელა! ვიფიქრე: ამოტოლა პრაკლამაციები მი-
პოვნეს და რატომ არესტუიტს ირ მიშვრებიან მეთ-
ქი! ალბათ ჩესტნი ჯანდარი თუ არის მეთქი, ან არა
და კეკეს ხელის ასმა-ჩასმაში თუ გამიკვითეს მეთქი.
დავაკვირდი ამ ქალალდებს, გადავშინჯ-გადმოვშინ-
ჯე და პოლკონიკზე უარესი სიცილე მე წამსქდა!
რა პრაკლამაცია, რის პრაკლამაცია! თურმე უცებ
ისე შავშინებულვართ მეცა და ჩემი დედაკაციც,
რომ სტოლზე დაწყობილ-გასაკრავი პრაექტორის
აფიშები ჩენ პრაკლამაციათ მოგვჩენებია. ბევრი
ვიცინეთ მე და ჩემმა დედაკაცმა, მაგრამ რას იზამ,
შიშმა ბევრი რამ იცის! იმათ შეშინებულმა მეორე
დღესაც ვეღარ გავბედე აფიშების გაკვრა და ხაზე-
ინმა ადგილიდან დამითხვა. აი, ასეთი ონები მახ-
სოვს იმ განსვენებულ ჯანდარ-პრისტავებისაგან. არა,
ძალიან ფინთათ კი მოვტყუვდი მაშინ! დღევანდ-
ლამდის სირცევილით არავისათვის არ მითქმის, მაგ-
რამ დღეს კი, რადგან სლაბოდნობას მოვესწარით,
ამიტომ ატკრავენათ ვამბობ. დეე, ვისაც გაეცინ-
ბა ამ ჩემ ოინზე, იცინოს. დღეს ისეთი დღეა რომ
ყველამ უნდა ვიცინოთ და ვიმხიარულოთ.

მუშებოჯან, გენაცვალეთ,
ვიპრაზნიკოთ პერვი შა,
ჩენ ვილხინოთ, ვიქეიფოთ,
მტერს ვაძახოთ: „ვაი, ვაი!“ *)

ახლა იმათ ივაგლახონ,
ეყოთ რაც რომ გვჩხრიკეს, გვეექეს,
ეყოთ რაც რომ უცაცუნეს,
ბროლის მკერდზე ჩემსა კეკე!

აი გილი, ჩემ დედაკაცს,
ცოვ ნიავს არ ვაკარებდი,
იმ შეითანს კუკლასავით
ხელის გულით ვატარებდი.

ჩემს გოგონას უხაერორათ
გამოუჩნდა ჯანდარ-შპიკი,
კრინტს ვერ ვძრივდი, ცხვირს წინ მედგა,
სალდათი და მისი შტიკი!

მაგრამ ჩარხი შატრიალდა,
სალდათმაც სცნო თვისი მოძმე,
მტარვალებს რომ უქნა განი,
ამის გახდით ყველა მოწმე.

ვიქეიფოთ, მოვილხინოთ,
ეს დღე დიდი არის ჩვეეთვის,
ჩენი მმობა და ერთობა
ლახვარია ჩენი მტრისთვის.

ძირს ნიკოლოზ გაიძვერა,
ძირს მთავრობა: უშნო, დუნე,
ძირს ჯანდარი სისხლის მსმელი,
ჩემი კეკეს მოცაცუნე!

მუშებოჯან, გენაცვალეთ,
ვიპრაზნიკოთ პერვი შა,
ჩენ ვილხინოთ, ვიქეიფოთ,
მტერს ვაძახოთ: „ვაი, ვაი!“ *)

გობია.

*) ულვინოთ რომ ქეიფობა,
უშნო არის, ყველა იტყვის,
მუშის საბჭომ დღეს კი უნდა
მოგვცეს ნება ლვინის ყიდვის.
გამშრალ კუჭებს დავასველებთ,
ყლაპას დიდს არ გავაგძელებთ,
ჩესნი სლოვა მუშის საბჭოს
სულ პირველთ ვადლინძელებთ.

გ—ა.

პატარა ფელეტონი.

გაზაფხულდა შეიმსახა ტყე და ველი,
მთებს უმღერის ტყბილის ხმებით სიონ ნელი.
შე იცინის... შაშვებაც დაიკრიმანქულა,
შეხე თამროს, როგორ კოხტათ მოქაზმულა!..
სატრაფოს ელის და ქასკისებს: ხა, ხა, ხა, ხა!..
რას ველირსე!!. ჩემმა თვალმა ეს რა ნახა!..
რა დრო დადგა, მკვდრები აღსდგა, გაიხარეთ!..
ჰკათ ძუნკალებს! ყველას ყველგან, შინ და გარეთ!..
— დიახ, დიახ, ძილიხანაშ უთხრა მაროს,—
ჩემი ქმარი! უი, დმეტოთმა დაიფაროს!!.
უნდა ნახო რომ შეხტება ტრიბუნაზე,
დაჭრილივით დრიალს მორთავს ბოხო ხმაზე...
გაიძინის: ტილო... ტილო... უხურს ტვინი...
ენაზე აქვს: დე-დუ-ფა-ლი!.. რა-ს-პუ-ტი-ნი!..
(თვალს ვერ მოჰკრავ ჩაფი წყალის დალევაზე)...
ილანძლება მინისტრების მთავრობაზე!..
— მინისტრები? ხალხის ასეთ შეკითხვაზე, —
გაჯავრდება; „ნუ თუ კიდევ მეკითხებით
და არ იცით... მეფე თვითონ იმ ვირთხებით
სოროებში ბჭობნი თავისუფლებაზე!..
ეს, ვინ მოსთვლის ჩემთ დაო, იქ რაც ითქმის,
რომ მოგიყვე, ერთი დღეც კი უნდა თითქმის,
გაათვა ჩემმა ქმარშა სიტყვა თვარი,—
ხალხმა „ურა!“ სულ კოხივით დააყარა!..
შეხე, შეხე, აგრე მოდის ჩენი ნატო,
— გენაცვალე, რად წამოხველ ასე მარტო?
ვერ იშოვე კაფალერი? სად გყავს ქმარი?
— ნუ მაბრაზებ!.. იგი ჩემი აღარ არი!..
დილის მიღის... შვალმეტე მოდის მკვდარი...
— რა ცუდია ეს ამბავი!.. საცოდავი!..
— ხო, ვერც ძილში ვერ ისვერებს ეს ბედშვი
და აბილებს: კონსტანტინე ერისთავი!..
— იცი ბერა, რა უქნიათ იმ ჩენ ვაჟებს?
დარევიან გურიაში შპიონაჟებს
და მირეკენ ისე, როგორც ჯოგის თხებსა
— ძილიხანო, რა მითხმი ბერა ესა?!.
— დიახ, დიახ, ერთმა კბილიც გაიღესა
დაჭირების დროს...
— ეს რომელმა?
— გველმა! ნიკოკიმ...
— ხვერლში ძროშა რომ იცოდა როგორც ტრიაშ?
— დიახ, დიახ, მასთან კიდევ დიმიტრია!..
ვინ მოვთვალო?.. როგორც კალო, ერთად ჰყრია!..

— ხო, მეც ვიცი ეს დიმიტრა... სახელ შვი...
ერთხელ ჩვენში სახლებს, რომ დაუწყო წვიო
და ბენას ციმბირისკენ უკრა თავი!..
— დიახ, დიახ, ვის არ ახსოვს დაო ესა!..
თუ დამიცდი, კიდევ გეტუვი უკეთესა!..
— ბათუმლების იცი რამე?
— არა სძინავთ დღე და ღამე, —
დღეს მოგიდა ჩვენი ნუცი,
არის თურმე ფაცა-ფუცი!..
სტანციაზე გახსოვს ჯანდრის პომპოლიკი?
ხალხს რომ კბენდა წარა-მარა, როგორც ბზიკი?
თურმე მასაც ატკუციეს კუდის რიკი!..
— გენაცვალე, რა მიამბე დაო ესა!
— თუ დამიცდი, კიდევ გეტუვი სხვა რამესა.
ნუცამ მითხრა, — აღგენენო ქალთა „წრესა“
(იყო კრება... იმისთანა შენსა მტერსა)!..
მოცუნცულდა თურმე ვიღაც კარბელავა
და ესფერთ ძველ ნაცოდვილარს... ეხლა ჰყავა!..
... აღარ გავა!!..
— იცი ქალო! ეხლა მითხარ „კომპერანტი“?
— გეტუვი, მარა ნუ გამამხელ თუ გწამს ხატი!
ამსებულა შიგნით: მართა, მაკო, ფატი...
ყველა ნაზი, ყველა კოხტა, ყველა ფრანტი...
ია-ვარდი, ყვავილები, განზე ქუდი...
შუაზე ვაჟი ფრიად დიდი დანაყუდი!..
არშიყობა, ტრფობა, გრძნობა, გულის ძეერა...
ასეთია დაო თურმე საქმის მზრა.
ეჯიბრება მართას მარო, მაროს ფატი,
ია-ვარდი, ხელში ტროსტი, განზე ქუდი
დროს ატარებს შუაზე ვაჟი დანაყუდი!..
— რა კარგია დაო ესა!..
გეტუვი კიდევ სხვა რამესა?
— ბერსა! მარა, ეხლა კმარა!..
გეჩქარება ნამეტარი
იქნებ იგი შენი ქმარი,
ტრიბუნიდან ნერწყვ გამშრალი
სახლში გდია ცოცხალ-მკვდარი
და კვლავ ბოდავს: ტილო... ტვინი!..
დელუფალი!.. რასპუტინი!..
ნიკოლოზი!.. მინისტრები!..
ვანო!.. კოსტა ერისთავი!..
ნიკოკია... ხვერლში ტრია...
დიმიტრელა... და ეს ყველა
მავნე სულნი ბნელში ჰყრია!..
ხა, ხა, ხა, ხა, რა კარგია ეს ამბავი გასწი მალე.
შენ ქმარს თავი შეუკონე გენაცვალე
და რაც დაგვრჩა უსათუოდ გეტუვი მალე!..
წაველა.

მხდალთათვის

(თარგმანი)

დიახ, სწორეთ ის არის დამახასიათებელი ამ
დიადი წლისათვის, რომ მან არ იცის შებრალება.
რატომ?

იმიტომ, რომ ეს არის დიდი რევოლუციო-
ნური წელიწადი!

რევოლუციას ერთი სერიოზული მტერი ყავს
—ძველი, დახავსებული წესწყობილება. რევოლუ-
ცია მას უნდა მოეპყრის შეუბრალებლათ, ისე, რო-
გორც ქირურგი არ იბრალებს დაჩირქებულ, დამ-
ბალ ნაწილს ადამიანის სხეულისას.

რევოლუცია მეფის გადაგდებით სპობს სამე-
ფო ძალა-უფლებას, არისტოკრატიის დამხმბით სა-
სიკვდილო. მახვილს სცემს თავად-აზნაურთა წოდებ-
რივ პრივილეგიებს, პოლიციის განაღურებით ასა-
მარებს დესპოტიზმს, ცრუმორწმუნების განივე-
ბით საფუძველს უშლის ბერ-მონაზონთ და ხუცებს,
ძველი რეუიმის ჯალათ მსაჯულების გადაყენებით
და დატუქსვით ასამარებს უსამართლობას და თვით-
ნებობას. ერთი სიტყვით, რევოლუცია სპობს და
ანაღვურებს ყოველივე მას, რასაც თვითნებობისა
და ძალმომრეობის დაღი აზის.

ეს ოპერაცია რთული და საფრთხილოა, მაგ-
რამ რევოლუცია მას აწარმოებს გამოცდილი და
მარჯვე ხელით.

რაც შეხება ოპერაციის დროს დანაკარგ ცოც-
ხალი ხორცის რაოდენობას ამის შესახებ ჰქითხეთ
ქირურგს: განა შეიძლება დაჩირქებული იარის ისე
ამოთლა, რომ სისხლი არ დაიღვაროს?

ქირურგი ხშირად წააგავს ყასაბს, ხოლო ექი-
მი ჯალათს. რევოლუცია ასახირებს სხეულს, მაგ-
რამ სამაგიერო სიცოცხლეს ანიჭებს მას.

ნუ თუ თქვენ მოითხოვთ მისგან, რომ ფთხი-
ლათ მოეპყრის დამპალ იარას და შიგ ბალდამის ბუ-
დე ამოუგდებელი დასტოვოს?

რევოლუცია ღრმა ჭრილობას აძლევს ცივი-
ლიზაციას, მაგრამ ეს ჭრილობა ანიჭებს სიცოცხ-
ლეს მოელ კაცობრიობას.

თქვენ ტკივილსა გრძნობთ? რა ვუყოთ მერე?
რამდენ ხანს გასტანს ეს ტკივილი? იმდენ ხანს,
სანამ ოპერაცია არ დასრულდება.

მაგრამ, სამიგიეროთ, თქვენ სიცოცხლე მო-
გენიჭებათ.

რევოლუცია მძიმე ოპერაციას უკეთებს ძველ
წესწყობილებას. ეს ოპერაცია სისხლის დაუღვრე-
ლათ წარმოუდგენელია.

გიქორ ჰიუგო

ღია წერილი

(პირველ ნაწილის ბოქაულს კარტასევიჩს და
ბათუმის მაძებარ პოლიციის უფროსს.)

ვსტირი, რა ვქნა, ვის გაუეცნო,

აწ მე თქვენებრ კოხტა ბიჭებს...

რესტორან-კაბინეტებში,

აწ მე ვინდა დამპატიუებს?

აწ ვინ უნდა შემთავაზოს

შამპანსკისა ტკბილი ღვინო...

თქვენებრ ზორბა ფულიანთან,

აწ ვიღასთან მოვილხანო?

ამდენ ჯავრს და დამცირებას

ვით გაუძლოს ჩემმს გულმა,

ღამით როგორ დავიძინო

კოზინეტებს დაჩვეულმა.

აწ მშეიდობით დროს ტარებავ,

ბაშბანიოკუკამფეტებო;

სიტკბოება რათ მომისპერ,

ოხ თქვენ სოციალისტებო.

როგორ ჩუმათ გაიპარენ...

ასე იზამს მხოლოდ ხმი,

თითქო სხვას კი არ აეღოს

ნაჩალნიქს და პრისტავს ქრთამი.

ქრთამის შიშით განა კაცი

ბათუმიდან გაიქცევა!?

ვინც რუსეთში ქრთამს ქრთამს იოგბდა

რა ციხეშიც დაეტევა?

აფსუს თქვენო სილამაზე,—

ფული, ჩინი, დამბაჩ ხმალი

სხვას იქერდით, დღეს თვით შიშობთ

როგორ წახდა სამართალი..

მითხრეს თითქო თქვენ ჩაგიცეამთ

კაზაკისა ტანსაცმელი,

და თფილისში დასეირნობთ

გაქვთ სხვა გვარი, სხვა სახელი.

გულით მინდა განუგეშოთ,


არ მოგ შორდე თქვენთან ვიყო,

თქვენი ნახვის მონატრული

სა—ლი თამარიკო.

ისკანდერ.

ერთი გათგანი*



ჰავშლანგი.

ქართველი მღვდელი
მომიწოდებენ ბრძოლად ერისთვის
გული მიმერჩის კარიერისთვის.

) ძნელი გასაგებია, თუ რით ხელმძღვანელობდა პატივცემული ცენტრზორ მთავრობადე, როდესაც ამ სურათს ყელია სქრიდა. ჩვენის აზრით მას ამოქმედებდა გრძნობა „ღვთის-მოყვარულობისა“ და „ეშმაკის მოძულებისა“. საჭიროა იგრევე აღინიშნოს, რომ „ეშმაკის მათრიახის“, რედაქტირას მხოლოდ თითოჯერ დასჭირდა სარგებლობა „ყოვლად სამღვდელო ლეონიდეთი“ და ყოვლად სამღვდელო პიროს სლავერდელით) მაგრამ ბ-ნმა ცენტრზორ მთავრობადემ მაშინაც წაგვიშალა ეგ სამ სამი სრულიად უმანქო და საცენტრო სიტყვები. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სიქიოს მოჰკითხვებ ცენტრის ამის პაუხს, მაგრამ საჭირო იყო სიქიოსაც გაგვეგო მცირე რამ.

*) საჯაროო ვაცხადებთ, რომ „ალავერდი“ ჩვენ არ გვიხმარია ტოლემია-შური განზრისვით.